

1934 (2)

საბჭოთავო  
კომუნისტური

# სამგონი



სამგონი  
11



# უველა სახის სკოლების დირექტორებს, კომკავშირის კომიტეტებს და უველა პიონერებს:



შესამე თაობის საყვარელ ჟურნალს „პიონერს“ 1935 წლის იანვარში უსრულდება არსებობის 10 წელი. საქ. განსახკომის და საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. 26 ნოემბრის დადგენილებით მომავალ წლის იანვარში გადახდილი იქნება „პიონერის“ არსებობის 10 წლის იუბილე. საიუბილეო კომიტეტი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე აკ. თათარიშვილი (განსახკომი) მოადგილე აკ. რეხვიაშვილი (ახალგაზრდ. და საბავშვო ლიტერატურის გამგე და „პიონერის“ რედაქტორი), გ. გოგუაძე (განსახკომი), ა. გველესიანი (კ.კ. ცეკა), ლ. გასვიანი (სახელგამი), კ. ქაცარავა (თბ. გან. განყოფილ. გამგე), ლ. ქიაჩელი (მწერალთა კავშირი). კომიტეტი უკვე მუშაობს. განათლების და კომკავშირის ადგილობრივ ორგანოებს, სკოლის დირექტორებს და პიონერორგანიზაციებს მიცემული აქვთ წინადადებები ფართედ გაშალონ „პიონერის“ 10 წლის იუბილესთვის მოსამზადებელი მუშაობა და იგი დაუკავშირონ სკოლაში სწავლის მაღალ ხარისხისათვის ბრძოლის შეგნებულ დისციპლინის გამტკიცებას, ინტერნაციონალურ მხატვრულ აღზრდის შემდეგ გაღრმავებას, სკოლის გარეშე კითხვის ნამდვილი ორგანიზაცია მასიურ შემოქმედებით ლიტერატურულ საღამოების ჩატარებას, მასწავლებელთა და მოწაფეთა მოხსენების მოსმენას საბავშვო ჟურნალების ისტორიულ და თანდროულ შემოქმედების საკითხების ირგვლივ, „პიონერის“ გამოსულ ნომრების მასიურ გარჩევებს, რედაქციისადმი წერილების, მილოცვების, საჩუქრების და სხვა საიუბილეო მასალების მიწოდებას და „პიონერის“ ირგვლივ ჩვენი შესამე თაობის შემოკრებას. „პიონერის“ არსებობის 10 წლის იუბილე უნდა გადიქცეს რესპუბლიკის მაშტაბით სკოლების, პიონერების და მთელი მოსწავლე ახალგაზრდობის ზეიმაღ. მისმა ხელმძღვანელობა უნდა გასწიონ განათლების, კომკავშირის და პიონერორგანიზაციის ადგილობრივმა ორგანოებმა. „პიონერის“ დეკემბრის ნომერი გამოვა საიუბილეო გარკვევითი, რომელიც შეიცავს იუბილეს ჩატარების ყველა საკითხებს.

„პიონერის“ რედაქცია

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. გ. კაჭახიძე — „კარგი მოსავალი“ (ლექსი) . . . . .	1
2. შ. თაბუკაშვილი — მოლა ნასრედინი და მამალი . . . . .	1
3. გ. კალანდაძე — „მთიდან მოდიან“ (ლექსი) . . . . .	2
4. ცქვიტი — „დედის ღიმილი“ (მოთხრობა) . . . . .	3
5. შ. იოსელიანი — „შემოდგომა აჭარისტანის ფლორიდაში“ (ლექსი) . . . . .	5
6. 1917 წლის ოქტომბერი . . . . .	6
7. დ. ბერიკაშვილი — „სოფელში“ (ლექსი) . . . . .	9
8. ს. ჟღენტი — „უსინათლო ბები“ (ლექსი) . . . . .	9
9. ელ. პოლუშკინი — „ჯილდა“ (მოთხრობა) . . . . .	10
10. მიმქრალი — „შემოდგომა ტფილისის ბაზარზე“ (ლექსი) . . . . .	13
11. ა. ონელი — „ოქტომბერი“ (ლექსი) . . . . .	14
12. აკ. რეხვიაშვილი — „გამბედავი მკერავი“ (მოთხრობა) . . . . .	16
13. ილ. სიხარულიძე — „გაუხდეთ ინჟინერი“ (ლექსი) . . . . .	20
14. შ. თაბუკაშვილი — „სათების გაფიცვა“ (მოთხრობა) . . . . .	21
15. გ. ლომთათიძე — „ტურის ერთგულება“ (ლექსი, არაკი) . . . . .	23
16. ანდანი — ლევ. ასათიანის წიგნი „ზაფხუვი“ (პროზა) . . . . .	24
17. როგორ მზადდება ჟურნალი პიონერი . . . . .	25





შეგიძლიათ გვინახულოთ,  
მოისვენოთ, გახსნათ თვალი:  
არ შევრცხვებით, კარგი იყო  
წელს სიმინდის მოსავალი!

ოქროსფერმა ტაროებმა  
შემოდგომა შეგვაყვარეს;  
ჯერ დილამდის ხანი იყო,  
ვესეოდით მწიფე ყანებს.

არ გვქონია ტკბილი ძილი,  
ხშირად შეგვხვდა ღამისთევაც.  
დაუთუეა მამას მხარი  
წარამარა გოდრის თრევამ.

გვამხნევებდა ფუჩიჩიდან  
ტაროების წყნარი ჭვრეტა,  
ამ მაღლიან ჭირნახულით  
სასიმინდე გაიჭედა.

გაიჭედა ჩალით ეზო...  
ახლა ოჯახს ძალა უჩანს.  
სიმაძღრეა და ღრუტუნაც  
კმაყოფილი დადის ყუჩად.

შეგვიძლია მოვიღვინოთ,  
მოვიხადოთ ქვეყნის ვალიც...  
არ შევრცხვებით, კარგი იყო  
წელს სიმინდის მოსავალი!

გ. კაჭანიძე

### მოლა ნასრედინი და მამალი

(თურქულიდან)


ძალიან მოუნდა მოლა ნასრედინს ქათმის  
ხორცი, ქათამი კი არ ჰყავდა, არც ფული ჰქონ-  
და. რა ქნას?

— მოდი, გავიგებ, რა დღეში ბრძანდებიან  
მეზობლის ქათმები, — იფიქრა მან.


მიადგა კიბე მეზობლის ყორეს, შეძერა მე-  
ზობლის სახლში, მოიპარა მამალი, სახელოში  
დამალა და დაიწყო კიბეზე ჩაცოცება.

მაგრამ უეცრად მეზობელი ეცა ტანისა-  
მოსში და დაიღრიალა:

- მოგკლავ, ქურდო!
- ცდები, — უბასუხა მოლა ნასრედინამ —  
მე ქურდი არ ვარ.
- შენ ღამით შეიპარე ჩემ სახლში!
- არ შეგსულვარ.
- შენ მოიპარე ჩემი მამალი!







— ცდები, შენი მამალი მე არ მომიპარავს. მაგრამ ამ დროს მამალმა გამოყო თავი სახელოდან და დაიყოლა.

— ყიყლიყო! ყიყლიყო! ყიყლიყო!

— ხომ ხედავ, მოლა ნასრედინ, — უთხრა მეზობელმა, — მამალი აქ არის! როგორ არ გრცხვენია ასეთ პატივცემულ კაცს, რომ ასე ტყუი?

მოლას ძალიან ეწყინა ეს სიტყვები და უბასუბა:

— როგორ არ გრცხვენია შენ, მეზობელო, ასეთ პატიოსან კაცს, რომ მამლის უფრო გჯერა, ვიდრე ჩემი! ნუთუ სულელი ფრინველის

ყფილი უფრო სანდოა, ვიდრე სწავლული კაცის სიტყვა?

შერცხვა მეზობელს, სახეზე ხელი მიიჭრა და შინისაკენ გასწია. მოლა კი ჩაცოცდა ბაღში და მამალს თავი გააგდებია.

— ესეც შენ, ყივილით რომ შეგვაწყვეტინე ლაპარაკი.

მოლამ ერბოში შეწვა მამალი და ბრანჯით მიირთვა.

— ესეც მე იმაში, რომ მეზობელს ვასწავლე მეცნიერების პატივისცემაო.

გად. შ. თ. მიერ

## მთილან მოღიან

სადღაც მგზავრული ფანდური დაკრეს, დაიძრა ფარა; მთები ცხვარშემოფანტულნი მხრებდანისლოლნი დგანან.

ნისლი ჩამოჰყვა ხეებში ცივი ნიავის სისინს, ნისლი დგას მოსახვევებშიც, საშემოდგომო ნისლი,

და გაიპარა ზაფხული მთის სიმწვანეში წყნარად, ცხვარი, ძოვანაში გართული, მოედინება ბარად.

ზევით ასპიტი მთებია, დაბლა ჩანჩქერებს ჰხვდები, მთის სიჩუმეში რჩებიან ხევ-ხევ დახრილი გზები.

წინ ჭყორნალი და შქერია გნოლ-კაკაბებით სავსე, ბიჭები მოიმღერიან, ბარს მოსძახიან ასე:

„მოვდივართ, მოგვიხაროა, მოგვაქვს სიმსუყე მთების, მთებზე ნისლი და ქარია, ბარო, როგორა გვხვდები?!

ჩვენ შევეუსრულეთ ჩვენს ფერმებს რა დავალებაც მოგვცეს, არცერთი ცხვარი არ მივეცთ ტურას, მგელსა და ფოცხვერს.

ახლა კი მოგვიხარია, მოგვაქვს სიმსუყე მთების, მთებზე ნისლი და ქარია, ბარო, როგორა გვხვდები?!“

მთებზე კი ამ დროს მართლაც და მძლავრი გრიგალი იდგა: წვიმდა, ქუხდა და დაღამდა, ტყე დაიუფლა ბინდმა.

წვიმდა უკუნეთ ღამეში და ზეიმობდა ბნელი, საღ მიტოვებულ ფარებში ძრწოდა მშიერი მგელი.

გ. კალანდაძე





# ქვის ლილი

სულ მძიმედ, დინჯად მოცურავს ბორჯომისაკენ გიორგის ტივი. მტკვარი, ზოგ ადგილას შეტბორებული, თითქოს დგასო, ისე წყნარად მოდის და თან სარკესავით გააქვს ბზინვა მის ზედაპირს. ორივე ნაპირიდან ფიქვისა და ნაძვნარის ტყეები შიგ კეკლუცად იხედებიან.

— ბიჭო, სულიკო, არ დაგეძინოს, რას გატვრენილხარ?! აკერ აწყურსაც მივუახლოვდით, საცაა ბორჯომშიაც ჩავალთ.

სულიკომ მამისაკენ ცოცხლად გამოიხედა და ხმა არ ამოუღია. რა დააძინებს?!

დაიძინოს კი არა, სიხარულით ამ ოღრო-ჩოღრო ტივზე ლამის ლეკური ჩამოუაროს.

ბორჯომში მიდის. ბიძამ დაიბარა: ბორჯომის წყლის ქარხანასთან ქიმიური ტექნიკუმი გაიხსნა და ჩამომგვარეთო. სულიკოს ბიძა იქა მუშაობს: უფროსი ზედამხედველია, ვაგონების ბოთლებით დატვირთვას ის ზეღმძღვანელობს და ბორჯომის სამკურნალო წყლის ავკარგიანობაც კარგად ვაიგო. ახლა ძმისწულის გაბედნიერებას ფიქრობს. ბავშვი ქარხანაში იმუშავებს, პრაქტიკულად შეისწავლის ამ სპეციალობას, ტექნიკუმში სპეციალურ განათლებას მიიღებს და... იქნება ამ დიდ საქმეს უცხო ქვეყნიდან მოსული სპეციალისტების მაგიერ ჩვენებური კაცი ჩაუდგეს სათავეში.

სოფლიდან წამოსული სულიკო აქამდის სულ იმას ფიქრობდა, რომ განათლებული კაცი გამოვიდოდა და თავის ლამაზ კუთხეს მიეპატრონებოდა.

სანამ აწყურს მიუახლოვდებოდენ, სულიკო სულ ამის ფიქრში იყო, აწყურთან კი ავტომობილი დაინახა და იმისი ფიქრის გეზი სხვანაირად წარმართა.

ახალციხის გატკეცილ გზაზე ავტომობილი ისე მიქროდა, რომ სულ მტვრის სვეტებს აყენებდა.

მთის შუა შესუღმა ავტომობილმა ერთი გრძლად რომ დაიყვირა, სულიკოს სულ ჟრუანტელმა დაურბინა.

გზისპირად ვიღასიც გამობმული ცხენი მოუსვენრად შეტოკდა და ტყის სიღრმეში შეიწურა.

საწყალ ცხენს როგორ შეეშინდა!— გაიფიქრა სულიკომ და თვალი დიდხანს ვერ მოაშორა.

მტკვრის გაღმა ავტომობილმა ქურანა ცხენს დიდი ფრინველივით რომ ჩამოუქროლა და გვზელ ქორივით დაიკივლა, ცხენი მარცხნივ გატრიალდა და ყურებაცკვეტილმა იქვე მწვანეზე ტკბილად ჩაძინებულ პატრონს ისეთი მაგრად ჩაუხვიხინა, რომ პატრონი გიჟივით წამოვარდა.

გაქროლილ ავტომობილს პატრონმა თვალი მოჰკრა, ცხენს მათრახი უთავაზა და იმავ გვერდით მიადგო, თვითონ კი ისევ წამოწვა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ძილს მისცა თავი.

ალბათ, წუხელი არა სძინებია და ცხენზედაც ჯავრობს, რომ მისი ცხენი აქამდის ავტომობილის ხმაურს ვერ შესჩვევია, — ფიქრობს სულიკო.

ცხენი კი არა, მეც ვერ შევეჩვიე. ლამის უკან გამოვეკიდო და მის ღერძს ვაკოცო. იმის ქირიმე,



ვინც ეგ მოიგონა! ნეტავი მეც ეგ ხელობა მასწავლონ, ნეტავი მეც მაგის კოფოზე დამსვან და ისე დავჯდები, ჩემმა მზემ, რომ ასტმისა ც ვეღარ ამფხიკონ, ძირს ფეხს აღარ ჩამოვდგამ, არც ღლე დავიძინებ და არც ღამე.

— ეი, დედასა, რამდენს გავაქროლებ! — ფიქრობს სულიკო თავდაღუნული.

— ბიჭო, პური არ გშია? მოიტა ეგ ხელსახოცი, პატარა დავნაყრდეთ, ავერ მზე ჩიტის კიბეს კიდევ მისდგომია.

სულიკომ ხელსახოცს დაავლო ხელი და საჭესთან მივიდა. ხელსახოცი ფიცრებზე გაშალა, კომბოსტოს ფოთლებში მოხარშული მტკვრის მურწა და ყველი გახსნა, ვეებერთელა კიტრს დაავლო ხელი და ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა.

ჯერ მზე არსადა ჩანდა, მხოლოდ ერთ ადგილას, ყველაზე მაღლა აზიდულ მთის მწვერვალს მზის სხივები ოქროს ვარაყად დასდგომოდა და ყვითლად ბზინავდა. ქვემოთ კი ნისლის ქარავანი სქლად ჩაწოლილიყო და ნელა იძროდა.

— ის არის, მამა, ჩიტის კიბე? ეეე! რა მაღალი ყოფილა! მერე და რათ ეძახიან ჩიტის კიბეს?

— რა ვიცი, შვილო, რათ ეძახიან! ალბათ, მაღალი რომ არის, იმიტომ ეძახიან. ავერ მზე ხელე, ქვემოთ კლდის კალთები ერთიერთთან შეხებულა ისეა მიწყობილი, თითქოს კიბეაო. იმაზე ვინ ავა ჩიტის მეტი?!

სულიკომ აქეთ-იქეთ გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ მამა და შვილი სუფრას მიუსხდნ და გატვრენილებმა ყბები მარდად ამუშავეს.

ტივი ტბორე ადგილას ნელა მიცურავდა. აღარც წნელებს აჭრიალებდა და არც შეხეფებით წუწავდა მათ.

ერთი საათის შემდეგ ციცაბო კლდეზე გალავანივით გრძლად აშენებული ციხე-კოშკები გამოჩნდა. მათი დაქანგებული კედლები შორიდან ყვითლად იცქირებოდნენ.

— აჰა, ეგეც შენი აწყური, წინ გაიხედე, ხედავ ციხეებს, მთელი ქალაქივით რომ იცქირებიან?!

სულიკომ გაიხედა, დიდ მანძილზე მკვიდრად აშენებულ ციხე-გალავანს დაუწყო ცქერა, მაგრამ ამ დროს ბორჯომიდან გამოქროლილი ავტომობილი დაინახა და ახლა იმას გააყოლა





თვალი. რად უნდა იმას ციხე-კოშკები? ახალ-ციხის მიდამოები და მისი სოფელი სულ სავსეა ციხეებისა და კოშკების ნანგრევებით. ისეთ მიუვალ კლდეებზე უნახავს ციხე-კოშკები, რომ ფეხიც ვერ მიუკარებია. აქეთ-იქით იმიტომ აცეცებს თვალებს, რომ ახალ ადგილებში მოხვდა, თორემ მთელი მისი გულისყური ბორჯომისკენ არის მიპყრობილი. დროც, თითქოს მიიზღაზნება. ტივზე ხომ ძლიერ ბრაზობს. ტივი რა მოსაგონია, მოწყვეტილ ფოთოლივით მიდის, ტალღებს მძიმედ მიჰყვება, ჭიკაძელისავეთ მიიზღაზნება. ვენაცვალე ავტომობილის მომგონს, ისეთია, რომ შურდულივით გარბის, ერთს დაიკვივლებს და ბორჯომშია, მეორეს — ახალციხეში, მესამეს — აბასთუმანში. ერთი სიტყვით, მთელი დღის სავალს ერთ საათში გადის და მეტი რა გინდათ... არა, არა, მე უსათუოდ ავტომობილზე უნდა ვიმუშაო, ბორჯომის ქარხანაში, თუ უნდათ, ჩემი უმცროსი ძმა შეიყვანონ...

ამ ფიქრებში იყო გართული სულიკო, რომ სულ სხვა ყვირილი მოესმა. ჯერ კი იტვრინა, ხმა ვერ ამოიღო, იქნება მომელანდაო, მაგრამ როცა ეს ხმა შემდეგ გარკვევით კიდევ განმეორდა, მამას გაკვირვებით გამოხვდა და კრინტი მაინც არ დაუძრავს. მამა მიუხვდა სულიკოს და სიცილით უთხრა:

— აგერ, ბორჯომთან ვართ, „ანტონობილია“ თუ რაღაც ჯანდაბა, შენ რომ მოგწონს, ახლა მატარებელი ნახე — მგონი სულ თვალები დაგაჭყეტინოს: გრძელი, სულ გრძელი... სახლებივით კარ-ფანჯრებიანი ოთახები ერთმანეთს გადაბმიან და კოხტად მორიხინებენ, იმის ნახვას არა სჯობია რა, ჩავიდეთ ჯერა!

სულიკოს გული მღელვარებით ეცვება. აწყურის გაიარეს. გზადაგზა კიდევ პატარ-პატარა სოფლები შეხვდათ და ბოლოს ლიკანის სასახლეს მიადგენ. მამა ბიჭს კიდევ შეეხმაურა:

— აჰა, აგერ შეხედე! ეს რუსთ ხელმწიფის პირველი სასახლე იყო. ახლა იმ მთის ქვემოთ გაიხედე; ეგეც შენი ბორჯომი...

სულიკომ გაიხვდა; დიდ, ძალიან დიდ მანძილზე მშვენიერი დაბურული ტყე ლამაზხლართებიანი მაღალი მოაჯირით იყო შემოფარგლული. მწვანე ხეებიდან აქა-იქ მაღალი სახლების სახურავები მოჩანდა. მეტი ვერაფერი ვერ დაინახა ბავშვმა, არც თუ ხელმწიფის აქ მბრძანებლობას მიაქცია ყურადღება, სიტყვა „ხელმწიფე“ უკვე ცარიელი სიტყვა იყო იმისთვის და სულიკომ ისევ ბორჯომზე დაიწყო ფიქრი.

(გაგრძელება იქნება)

ცქვიტი

## შაჰოღოზოვა აჭარისტანის ფლორიდაში\*)

შეყვითლდა და შეირუჯა  
წაბლისფერი მდელიო,  
ღრუბელს უნდა ცაზე ლურჯი  
სივრცე გადათელოს.  
სოფელს მწიფე სილამაზე  
შრომის სურვილს უნთებს,  
გლენი მეტი სიხარულით  
აჭრიალებს ურემს.  
ხეზე, სადაც მომხიბლავად  
ცვარი ცვარზე ბზინავს,

მორცხვად თავი დაუხრია  
ყვითელ მანდარინას.  
ნაყოფს უნდა დამძიმდეს და  
მიწაც დაამძიმოს,  
ცვარი უვლის დილ-დილობით  
ნარინჯებს და ლიმონს.  
ზღვის ტალღები უაღერსებს  
ნაყოფიან ტყეებს,  
ქარი არხვეს მზრუნველობით  
სუბტროპიკულ ხეებს.

\*) აჭარისტანს ამჟამად „საბჭოთა ფლორიდას“ უწოდებენ.

შ. იოსელიანი



1917 წლის რევოლუცია გრგვინავდა რუსეთში. მეფის ხელისუფლება დამხოვილ იქნა, მაგრამ ომი კიდევ მეტი სიმძაფრით გრძელდებოდა. მუშებისა და გლეხების ათიათასობით მებრძოლი მასები სანგრებში ილუპებოდნენ.

ამ დროს 10 წლის ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ რუსეთში ჩამოვიდა უკვდავი ბელადი — დიდი ლენინი. მატარებელი, რომლითაც ლენინი მოემგზავრებოდა, უახლოვდებოდა მაშინდელ პეტროგრადს. სადგურზე მუშურ-გლეხური მებრძოლებისგან შემდგარი ჯარის ნაწილები და მებღვაურები საპატიო ყარაულში ეგებებოდნენ ლენინს.

მაშინდელი პეტროგრადის მუშები, მუშაკალები და მთელი მშრომელი მასები მკლავებით ერმანეთზე იყვნენ გადასკვნილნი, ქუჩის ქვაფენილებზე ცოცხალ ჯაჭვს ქმნიდნენ ლენინის გასავლელად. ვაგონიდან ლენინი მუშებმა ხელით მალა აწეული გადმოიყვანეს. სადგურთან ლენინს უცდიდა ჯავშნოსანი ავტომობილი.

ლენინი ჯავშნოთი შემოდინდა პეტროგრადში, მას ფარავდა მუშების რკინისებური მკლავებით ამართული წითელი დროშები და



ასხივოსნებდა ყოფილი პეტრეპავლეს ციხის თავზე დადგმული უდიდესი რეფლექტორებისგან გადმოშვებული ბრწყინვალეობა. ირგვლივ ზღვა იდგა მკლავმაგარი მშრომელებისა და ქექდა მშრომელთა გულებიდან ამოტანილი ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

ჯავშანო ფრთხილად და აუჩქარებლად შედიოდა ქალაქში. ლენინი იდგა ჯავშანოზე და მისი ცეცხლისმფრქვევი პირიდან ისმოდა ყველასათვის გასაგონი მოკლე და გარკვეული სიტყვები: „არ გვინდა ომი, საჭიროა რევოლუცია!“

ისმოდა დიდი ბელადის სიტყვები. მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების სხდომა დღედაღამ გრძელდებოდა. პეტრეპავლეს ციხისმაგრე ხელთ იგდეს წითლებმა და იქიდან მეფის ზამთრის სასახლისაკენ მიმართა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები. წითლების სამხედრო გემმა „ავრორამ“ ზამთრის სასახლისაკენ მიმართა გამანადგურებელი ცეცხლი. სასახლე თეთრებს ჰქონდათ დაკავებული. მისი თითოეული ფანჯრიდან გამოიყურებოდნენ ტყვიამფრქვევები. თეთრების კაპიტალისტი-მინისტრები, რევოლუციის მძვინვარებით თავზარდაცემულნი, ზამთრის სასახლის უკანა მიყრუებულ ოთახში იყვნენ ჩაკეტილნი. ამ დროს ლენინი გამოდიოდა პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე და მსოფლიოს გასაგონად ისვრიდა ლოზუნგს:

— გაუმარჯოს მსოფლიო სოციალურ რევოლუციას!

ნაშუალამევის 2 საათზე მეფის ზამთრის სასახლე აღებულ იქნა წითლების მიერ.

წითლების გასანადგურებლად და თეთრების გადასარჩენად ამ დროს პეტროგრადზე შეერევოსათვის მოდიოდა გენერალი კრასნოვი თავისი ჯარებით. ლენინმა გასცა ბრძანებები: ახლავე მთელი ქალაქის ირგვლივ გათხარეთ სანგრები, გატეხეთ, სადაც კია საწყობები, გამოიტანეთ იქიდან ბარები, ქარხნებიდან გამოზიდეთ. ეკლიანი მავთული, შეაჩრეთ ქალაქში ყველა ფურგუნი, გამოხსენით ცხენები, მიეციე ჯარის-



კაცებს 40 ზარბაზანი; ლენინი არ ივიწყებდა, რომ ჯარისკაცებისათვის შეუჩერებლად ეგზავნათ სურსათ-სანოვავე, რომ არ მოშინოდათ რევოლუციისთვის თავდადებულ გმირებს. ლენინს უკეთებდნენ მოხსენებას: „თეთრების გენერალი გვიტევს, მათი ჯავშნოსანი მატარებელი „ფოლადის კუ“ მაგრად გვირტყამს... ჩვენ გვაკლია იარაღი“...

ლენინი თვით წავიდა იარაღების ჩამომსხმელ პუტილოვის ქარხნებში, სადაც მუშები საჩქაროდ ამთავრებდნენ წითლებისთვის გადასაცემ ჯავშნოსან მატარებელს. თეთრები განადგურებულ იქნენ წითლების მიერ.

ლენინის უახლოესი თანამებრძოლი დარევილი ფოლადისებური ბელადი დიდი სტალინი ამ დროს დაბრუნდა მეფის მიერ მისჯილ გადასახლებიდან. მეფე აღარ იყო, მაგრამ მეფის ადგილი ეკავათ ბურჟუა-კაპიტალისტებს, მუშათა კლასის მოსისხლე მტრებს. მუშათა დემონსტრაციები ეწყობოდა ლოზუნგით „ძირს მინისტრი-კაპიტალისტები“. წითელი ჯარისკაცები მოედნებზე იყრიდნენ თავს და მედგრად გაჰკიოდნენ: „ჩვენ შეიარაღებულნი მზად ვართ! მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. მეზღვაურები რკინისებური სიმტკიცით გამოდიოდნენ მუშათა მასებში შიტინგებზე მოწოდებით: „იცოდეთ, ამხანაგებო, მთელი ბალტიის ფლოტი ბოლშევიკების მხარეზეა“. ბოლშევიკების შტაბში მეზღვაურები ურეკდნენ სტალინს: „გამოვდივართ დემონსტრაციებზე მთელი შეიარაღებით“.

თეთრების ბანდები ეძებდნენ ლენინს მასზე შურისსაძიებლად. ლენინი კი გრგვინავდა:

- „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“
- „მიწა — გლეხებს!“
- „პური — დამშეულთ!“
- „მშვიდობიანობა — ხალხს!“

სტალინი მოითხოვდა, რომ ლენინი დაცული ყოფილიყო მოსალოდნელი საშიშროებისაგან. სტალინი წერდა ამ დროს: „მეცვალებთ კაპიტალისტების ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელისუფლებით“. სტალინი მოუწოდებდა მასებს: „შეიარაღდით, ემზადდით“.



ქუჩებში გაიმართა ბრძოლა წითლებსა და თეთრებს შორის, თავზარდამცემი ბრძოლა.

შეიარაღებულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების ხუთეული: სტალინი, სვერდლოვსკი, ბუბნოვი ძერენსკი, და ურიცკი.

მოსკოვის მუშები თავს იყრიდნენ ქალაქის გარეუბნებში და იარაღდებოდნენ, რაც კი შეეძლოთ. მოსკოვის ცენტრში თეთრები ბატონობდნენ. მათ ხელთ იყო ჯავშნოსნები, ბომბმტყორცნები და ტყვიამფრევეების ურიცხვი მარაგი.

კრემლის ახსენალი სავსე იყო იარაღებით. კრემლის იცავდა მე-5ნ ქვეითი ათასეული. ჯარისკაცები გადავიდნენ წითლების მხარეს. თეთრების გენერალმა კრემლის დაცვა იუნკრების ათასეულს მიანდო. ჯარისკაცებმა აქაც უარი განაცხადეს და კრემლის კარი-ბჭეში გამოდგეს 12 ტყვიამფრევევი წითლების მხარეზე გადასასვლელად. 3 დღეს ცის ქვეშ ელოდნენ წითლების შეხვედრას. მოდიოდა თოვლი, დგებოდა ყინვა და წითლების მოლოდინში მყოფმა ჯარისკაცებმა ტყვიამფრევევები შეატრიალეს კრემლისკენ და საში მხრივ დაუშინეს. წითლების უკან მუშათა მოზღვავებული შეიარაღებული მასები მოდიოდნენ.





ტულის იარაღის ქარხნიდან აჯანყებულებმა მიიღეს ტყვიამფრქვევები. წითლებმა კრემლს დაუშინეს. სულიერსა და აუსულოს თავზარს სცემდა წითლების მიერ წარმოებული ბრძოლა. თეთრებს გამოსასვლელი გზა შეკრული ჰქონდათ. იუნკრებმა სცადეს გადაპარვა კრემლიდან სპასკის ქიშკრით მაგრამ, აქ რაგოჟო-სიმონოვის რაიონის მუშები მოემართებოდნენ ბარბარეს ქუჩით. თეთრებს აქაც ბედმა უმტყუნათ. მიეხეთქენ ბაროვიცკის ქიშკარს და აქაც გზა შეკრული დაუხვდათ წითლების მიერ. წითლების რაზმი შეიჭრა კრემლში ივერიის ქიშკრიდან და ირგვლივ აჯანყებულთა ცეცხლით გარშემორტყმულმა თეთრებმა იარაღი დაყარეს. კრემლი აღებულ იქნა წითლების მიერ.

მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებათა გზის მანათობლების ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა მეფის რუსეთის ნანგრევებზე ამართა საბჭოების ძლევამოსილი ალისფერი დროშა.

აი 17 წლის მანძილზე გამტკიცდა, გაიზარდა და დაეფუკადა საბჭოეთი. იგი გადაიქცა მთელ მსოფლიოს დაჩაგრულთა განთავისუფლების გარდუვალ სიმბოლოდ.

მრავალჯერ სცადეს საბჭოთა კავშირის შინაურმა და გარეულმა მტრებმა მისი სისხლში ჩახრჩობა გამარჯვების პირველ დღეებშივე და შემდეგ, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ურყევი ძლიერებით გაამაგრეს საკუთარი სისხლით მოპოვებული სოციალისტური სამშობლო. მუშურ-კლესური წითელი არმია შეუპოვრად იცავს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის საზღვრებს და მსოფლიოს მშვიდობიანობას. მთელი ჩვენი ქვეყნის მუშები და კლესები მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი გაშლით აშენებენ სოციალიზმს და მათ ზურგს უკან ურყევ იმედად დგას მსოფლიო მუშათა კლასი.

დიდება ლენინს, დიდება სტალინს!  
გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!





მზე ოცინის ცის ლაქვარდზე,  
სხივებს გზავნის დაბლა ველად,  
და ყანებიც შემოსული  
ციმციმებენ ოქროს ფერად.

დაესია ხალხი ყანებს,  
ისმის ყველგან გლეხთა ხმები,  
და დატვირთულ საძნე ურმებს  
ვერ იტევენ შარავნები.

ყანას მკიან, ლილინებენ,  
გლეხს ჩამოსდის ოფლის ღვარი,  
და სიმინდსაც ამჩნევია  
გლეხის ნამგლით ნაომარი.

იქით კიდევ კოლექტივის  
მანქანები მკიან ყანას,  
მკიან, მკიან, გუგუნებენ,  
შეჭხარიან ნეტარ ხანას!

დ. ბერიკაშვილი

## უსინათლო გეგია

ბები გატეხა წლებმა და ჯაფამ,  
ბები გატეხა დარდის სიმრავლემ...  
რას იფიქრებდა, თუ ასე სწრაფად  
დააკლდებოდა სინათლე თვალებს.

ბების რამდენი ტანჯვა უნახავს,  
ახლაც უბედურს შრომა სწყურია...  
მას კარ-მიდამო, ყანა-ვენახი  
უმთვარო ღამით შემოუფელია.

ის იყო მამა, ის იყო დედა,  
უკაცო სახლის გამრჯე მომვლელი,  
და აწუხებდა ყველაზე მეტად  
ბედი ბავშვების, ბედი ობლების.

დილაზე ადრე დგებოდა ბები,  
რომ დაეგავა ეზო და ქოხი...

შორს ყანებიდან ისმოდა ხმები,  
ბებისაც იქვე მზად ჰქონდა თოხი.

და ხბოც ბლაოდა ბოსელში იქვე,  
ნიშა ელოდა შვილს და მოწველას,  
პატარა ბიჭი ლოგინში პირქვე  
ტიროდა, მქადით ითხოვდა შევლას.

უყვარდა ბების შრომა და ჯაფა,  
მარჯვე მკლავების სად იყო დაღლა!  
წლებმა გატეხა მშრომელი სწრაფად  
და დღის სინათლე დაკარგა ახლა.

ბებიმ დაკარგა თვალის სინათლე  
მაშინ, როდესაც ხარობდა გული,  
და ცხოვრებაში ნატანჯს და ნათრევს  
ერგო ასეთი მას სინარული.



მაგრამ რას იზამს ბებია ახლა,  
თვალეებს აწუხებს უსინათლობა!  
უყვარს ბალი და ვენახის ნახვა,  
ვაზის შეხებით თავის გართობა.

ზღაბრებთან ერთად მას უამბია  
თავის ცხოვრების უშნო წარსული...  
უთქვამს: „სიცოცხლე მე რას მარგია...  
მაინც ცხოვრების ვარ მოხარული“.

ვზივართ დერეფნის მზიან კუთხეში,  
ვესაუბრებით ერთმანეთს კობტად...  
ახლა შეილია ბების ნუგეში  
და ნაღვლობს მაინც, ასე რად მოხდა...

ბების სახეზე ნიშნად აყრია  
წლები წარსულის, ტანჯვა ობლების,  
ახლა ცხოვრება მას უხარია,  
თან შეილი შეილი რომ ჰყავს მომვლელი...

სანდრო ფლენტი



II\*)

— ჯილდა, შენზე ამბობენ, მგლის ჩამომავალი არისო. თურმე, ერთ ღროს შენი წინაპარი მგელი ყოფილა. მაგრამ რა მიგიგავს შენ ახლა მგელს? ისეთი ჭკვიანი თვალები გაქვს, თითქო მით გამუდმებით თბილ სიყვარულის გრძობას ატარებო. შენ ეხმარები ადამიანს, შენი გონება, შენი უნარი, შენი ნიჭი მუშაობის, ბრძოლისა და თავდაცვისა იმდენად ნათელი და ძლიერია, რომ ადამიანი მთლიანად გენდობა, ერთი წამითაც არ შეეპარება ეჭვი, თითქოს უმტყუნებ, უღალატებ. შენ ერთგული ხარ, ჯილდა, მაგ კრიალა და ღრმა შავი თვალებით იმიტომ შესცქერი შენს პატრონს, რომ ნიშნის მოლოდინში ხარ, მისი სურვილის შესრულება გინდა,

რომ კიდევ ერთხელ ზედმეტად დაუმტკიცო, რომ მზადა ხარ რაც მან გასწავლა საქმეზე გამოიყენო.

ჯილდა, იცი, ძველად, თურმე, მართლა მგელი ყოფილა შენი წინაპარი. ისინი ადამიანს კი არ ემსახურებოდნენ, პირიქით, მტრობდნენ. მგლების მთელი ხროვა წამოვიდოდა ერთად, თავს ესხმოდნენ ცხვრისა და თხის ფარას, შერეკავდნენ გაუვალ გორაკებში და მუსრს ავლებდნენ. უძლური იყო მაშინ ადამიანი. ვერ უმკვლავდებოდა ისე, რომ ცხვრის გადარჩენა შესძლებოდა. დღეს კი, ჯილდავ, თვით შენ და შენი მოძმენი იცავთ ამ ცხვრებს მგლებისაგან. შენ და შენი ძმები მფარველობთ არა მარტო ცხვრის ფარას, არამედ ადამიანის, საზოგადოების სხვა ქონებასაც და თვით სიცოცხლესაც. შენ გასწავლეს, ჯილდავ, თუ როგორ და რაში უნდა

\*) მთლიანი წიგნი ახლო მომავალში გამოიცემა სახელგანთქმის საბავშვო და ახალგაზრდ. ლიტერატურის სექტორის მიერ.



დავხმარო ადამიანს და ბირუთვნელად ასრულებ  
შენს მოვალეობას.

რამდენი რამ იცი შენ, ჯილდავ, შენი გამ-  
ქრიაბი გონება რას არ მიხვდება! ეგ შორსმჭვრე-  
ტელი თვალეები რას არ დაინახავენ, რას არ შე-  
ნიშნავენ! მაგ აცქვეტილს და ოდნავ წინ დახ-  
რილს ყურებს ისეთი სმენა აქვს, რომ ფაჩუნიც  
კი არ გამოგეპარება. ისეთი ყნოსვა გაქვს, რომ  
ათეულ კილომეტრზე გზას გაიკვლევე, ყნოსვით  
მიაგნებ ნივთს, ადგილს, ადამიანს. ეგ მარდი  
და ძარღვიანი ფეხები სწრაფად და დაუხარე-  
ლად თელავენ მანძილს, მიაქანებენ შენს მოქნილ  
სხეულს. შენი ცოცხალი და ძლიერი ხასიათით  
რას არ შეასრულებ, რას არ მიაღწევ! შენს  
თვალეებში სიყვარულის გარდა ჩაქსოვილია  
გამბედაობაც, ჯილდა, გამბედაობა და უშიშ-  
რობა!

დღეს მზიანი დარია.

მზის სხივები ეთამაშებიან ფანჯრების მინებს,  
ეკემიან ზედ და ბრკყვიანობენ. მზის სხივები  
და სითბო თავს დაჰკაბუთებენ მთელს ბუნებას,  
გარემოს ალამაზებს და ახარებს.

შენც გიყვარს, ჯილდავ, მზეზე სეირნობა.  
შენ ადამიანმა სეირნობაც კი გასწავლა. ხშირად  
ასეც გიყვარს: სეირნობის მაგიერ აივანზე გა-  
შლილ ხბოს ტყავზე წამოწვები, თათებს წინ და-  
აწყობ, ზედ თავს დადებ, მიყურდები და ტყებში  
მზის სითბოთი.

დღეს მზიანი დარია.

შენმა პატრონმა სასვიროდ გამოგიყვანა.  
მან თავის სახლში მოგიყვანა, რამდენიმე სა-  
ათით მიგატოვებია შენი საცხოველებელი ხუხულა,  
რკინისრიკულებიანი პატრონის ოთახი. სადაც გივ-  
ლიან და გატრონობენ, სადაც ასეული შენი  
მოძმე ცხოვრობს.

შენს პატრონს სიხარულით მიეკებენ კარებ-  
ში. აგერ, ბავშვიც გამოექანა მისკენ.

— მამა! მამა! — ყვირის ის და, რაც ძალი  
და ღონე აქვს, მორბის.

— ნელო, ოთარ, ნელო, ნუ გადაირიე, —  
შესძახებს მამა და თმაზე ხელს უსვამს, მის სიხა-  
რულს თავის სიყვარულს უერთებს.

— მამა, ჯილდა მოიყვანე? — ეკითხება ოთა-  
რი მამას და შენკენ გამორბის. შენ უნდა მოგეცე  
ხვიოს, უნდა მოგვალერსოს.

აბა, თუ იცნობ, ჯილდა, ამ სახლკარს? აბა,  
თუ მოგაგონდება ეს ეზო, ეს აივანი, ეს ბაღი?!

შენ რაღაც მოუთმენლობა გამოიჩინე. უცებ  
თითქოს აენტეო, აღელდიო, პირდაპირ აივანისკენ  
გაქანდი. ამ აივანის ყოველ კუნჭულს ყნოსვა  
დაუწყე. ეზოც ცეცხლივით შემოირბინე, ბაღი-  
შიც კი გადახტი და მერე ოთარისაკენ გამოქან-  
დი. ერთ ადგილას შეჩერდი, მოქნილ ტანს  
მოუსვენრად ამოძრავებ და შესცქერი ოთარსაც,  
შენს პატრონსაც და ამ ეზო-კარსაც.

თითქოს ამბობ:

— მახოვს, მახოვს ეს სახლი, შენც მახოვ-  
ხარ, ოთარ!

ოთარი კი კისერზე ხელს გისვამს. მის სახეზე  
უსაზღვრო სიხარული და ბედნიერება აღბეჭდი-  
ლი. როგორ უყვარხარ, ჯილდა, ოთარის!! ხომ  
ნახე, რა სიხარულით შემოგვეკება. გუშინ, მასობა  
დღეს, სხვა ძაღლებთან ერთად გნახა და ვერ  
გიცნო. გაზრდილხარ, გამოცვლილხარ. შენ ორი  
თვის იყავი, აქედან რომ წავიყვანეს. ძალიან  
ხშირად გიგონებდა ოთარი. მამას ეკითხებოდა  
შენს შესახებ. როგორ დაავიწყდებოდა ოთარს,  
როდესაც მთელი ზაფხული ერთად გქონდათ  
გატარებული. სულ გვერდში დაჰყვებოდი. ხან  
ჩიტებს დაგადევნებდა, ხან მეზობლის კატაზე  
მიგიშვებდა. შენც ეძგერებოდი, დაუყუფდი, ოთა-  
რის გულის მოგება გინდოდა. ერთხელ იმ კატამ  
სახეც კი დაგაკაწრა. მაშინ კი იკადრე და თავი  
დაანებე. კულამოძულებული მიხვედი ოთართან,  
წკმუტუნებდი და ეუბნებოდი რომ სახე გატკინეს.







არ დავიწყებინარ ოთარს, არც შენ დავიწყებია.

მირბის ოთარი და შენც უკან ედევნები.

რა მშვენიერი დღეა, რა ლამაზია ცა ლურჯი, უღრუბლო, მინასავით გამქვირვალე! როგორი თბილი და საამო დარია! ნამდვილი გაზაფხულია, ლამაზი, სასიხარულო გაზაფხული! ეზოში და ბაღ-ჩაში სირბილს არაფერი არ აჯობებს!

ოთარსაც და შენც ძველებურად ცელქობა მოგესურვათ. თქვენ მთელი ეს უხარმაზარი ეზო შემოირბინეთ, თამაშობთ, დახტიხართ და დაღლას არ გრძნობთ. აგერ თქვენ წინ კატამ ჩაირბინა, მაგრამ, ჯილდავ, სასაცილოა, რომ მას შეჰყეფო, ყურადღებასაც არ აქცევ. აგერ, მტრედებიც აფრინდენ, მაგრამ თითქოს ვერც კი შენიშნე.

უკვირს ოთარს, უკვირს, რომ ასე გამოცვლილხარ ჯილდა, და თითქოს სწყინს კიდეც, მას ძველებურად მასთან ერთად ცელქობა და ნაფარდი უნდა.

უცებ, ჯილდავ, საღლაც გაქრი. ოთარმა ვერ მოგკრა თვალი, თუ საით გაიქეცი. ძებნა დავიწყო. რამდენიმე წამი არც კი გასულა, და შენ, ჯილდავ, მონაფარდობ ოთარისაკენ. პირში რალაც ნივთი გიქირავს. ოთართან მიირბინე, პირით იმ ნივთს აწოდებ და თვალებით კი თითქოს ეუბნები:

— აი, მე შევნიშნე, რომ ქამარი აღარ გეკრა. მივხვდი, რომ სირბილში დაგვარდნოდა, გიპოვე და მოგიტანე, ყოჩალი ვარ თუ არა?

— ყოჩალი ხარ, ჯილდა, ყოჩალი!

ოთარი განცვიფრებული იყო. მისი პატარა გონება ფიქრში ჩაიძირა. შავი, კრიალა თვალები გაუშტერდა. თეთრი, პატარა ხელი გაუწიდა, და ქამარი გამოართვა. ფიქრიანად შემოიკრა ტანზე.

— რა უოფილა ეს ჯილდა?! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ვარდისფერ, წვრილ, მარწყვივით ნაზ ტუჩებზე ღიმილი აუთამაშდა.

— წამო, ჯილდა, შინ წავიდეთ, — წამოიძახა ოთარმა და აიენის კიბეებისაკენ გაიქცა.

ჯილდაც თან გაჰყვა.

ოთარში შევიდენ.

ოთარი მამას კალთაში ჩაუჯდა, ჯილდა კი იქვე ფეხთით წამოწვა.

ოთარის მამა სამხედრო სამსახურში იყო. მათი ნაწილი წითელი არმიისათვის სამხედრო ძალებს წრთვნიდა.

ჯილდაც ოთარის მამამ წაიყვანა თავის ნაწილში. ის ხშირად ამბობდა:

— ეს კარგი ჯიშისაა. ამისაგან კარგი სამხედრო ძალის დაღება, — და ერთ დღეს კიდეც წაიყვანა თავის ნაწილში.

მაშინ ოთარს ძალიან ეძძიმა ჯილდას მოშორება. ხშირად ეკითხებოდა მამას ჯილდას ამბავს. მას შემდეგ დღეს პირველად მოიყვანა შინ. მთელი წლის განმავლობაში დღეს პირველად ნახა და გააკვირვა კიდეც ჯილდას ასეთმა სიჭკვიანემ.

— მამა, იცი, ჯილდამ ქამარი მოიტანა. მე დავკარგე და მაგან იპოვა! — შესვლისთანავე მიამახა ოთარმა.

— ოოო, ჯილდა ახლა სულ სხვა ძაღლია. მაგან მაგის გარდა ბევრი რამ სხვა იცის.

— საიდან იცის, როგორ ასწავლეთ, რა იცის კიდეც? — სხაპასუხებით დააყარა მამას შეკითხვები და მოუთმენლად დაელოდა პასუხს.

— ეგ სამხედრო ძაღლია, ოთარ, მთელი წლის განმავლობაში ვასწავლიდით მას, თუ ომის დროს როგორ უნდა გაუწიოს სამსახური წითელი არმიას. ასეთი გაწრთვნილი სამხედრო ძაღლები ათასობით გვყავს. ისინი საუკეთესოდ გაწვრთნილი არიან.

გაკვირვებული, მაგრამ მთელი გულისყურით უსმენდა ოთარი მამას და ხანდახან ჯილდას გადახედავდა ხოლმე.



მამა კი განაგრძობდა:

— თუ რომ ომი იქნება, ჩვენ უნდა შევეცადოთ რაც შეიძლება ნაკლებ განსაცდელში იყვნენ წითელარმიელები და მეტი საშუალება გვქონდეს დავებმართ მათ თავდაცვაში.

სამხედრო ძალები ზარბაზნებისა და თოფების სროლის დროს უშიშრად მიდიან მებრძოლებთან და ყველა დავალებას ზუსტად ასრულებენ.

და მამამ უამბო ოთარს დაწვრილებით და ნათლად ისიც, თუ როგორია ომი და ბრძოლა და რა მოვალეობებს ასრულებენ ამ ბრძოლების დროს ისეთი გაწრთვნილი სამხედრო ძალები, როგორიც ჯილდაა.

ოთარის პატარა გონებამ ღრმად აღიბეჭდა ეს ნაამბობი. მისმა პატარა და მგრძნობიარე გულმა

ისე მძლავრად ჩაინერგა მამის მიერ დახატული სურათები, რომ მთელი დღის განმავლობაში მასზე ფიქრობდა. ის თავის საკუთარ ამახვილებდა და როგორც ოცნება, ისე დაებადა წყურვილი საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი ის, რაც დღეს მან გაიგო.

უფრო მეტი სიყვარულითა და პატივისცემით შესცქეროდა ოთარი ჯილდას და საღამოთი კი, როდესაც მამამ ჯილდა თან წაიყვანა, სინანულის გრძობამ შეაწუხა. მას უნდოდა ჯილდა კვლავინდებურად მასთან ყოფილიყო.

მამამ ჯილდა წაიყვანა, მაგრამ ოთარს არ შეუწყვეტია მასზე ფიქრი. ის ფიქრობდა ჯილდაზე და ბრძოლაზე ვახშმის დროსაც, მაშინაც, როდესაც დასაძინებლად საწოლში წვებოდა და სწორედ ამავე ფიქრებში ჩაეძინა.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

## უამბოდგოვა ტფილისის ბაზარზე

აივსო ბაზარი ხილით,  
მოხვავდა სიმსუყე სოფლის...  
ვის გინდათ ნიგოზი, თხილი, —  
სავსეა, ქვეყანას ჰყოფნის!  
მოზიდეს გლეხებმა ძარი —  
ეს გორის ატამი სათვალო,  
ვაშლებიც გორიდან არის,  
რა ჯიშის, ახ, როგორ მოვთვალო!  
კვახები დაყარეს გროვად,  
გლეხი თვლის სიმდიდრეს ათასებს,  
მუშტარი საჩქაროდ მოვა,  
თითო ცალს მანეთად აფასებს.  
— კაია, დაია, კვერცხივით  
იაფია, ვფიცავ, ამ დროში, —  
თეთრად რომ ქათქათებს ვერცხლივით  
ის ერთი, იქ რომ ძევეს ორში,  
რიგებში მიწაზე მორთხმული  
ზის ქალი, სვირიდან კალათით,

მოხუცი, გოროზით მორთული,  
წაღებით და ლურჯი ხალათით.  
თეთრ მტევნებს ჯარივით ამწკრივებს  
და უმხერს ბიჭების გროვა,  
აგინებს ქალაქის „არწივებს“:  
ჯიბგირებს — ამ ბაზრის ხროვას.  
აუხდათ მყიდველებს წადილი:  
ბაზარზე აღარ ჩანს ვაჭარი...  
ნაზ ჰაერს ამძიმებს ამ დილით  
საამო სურნელი მაჭარის.  
რა გინდათ ბაზარზე არ არის...  
მოცურავს სიხარბე თვალების,  
ვით შუქი ქათქათა მთოვარის,  
თვალები პატარა ქალების.  
ვერ აძლებთ სიუხვე ხილის...  
მოხვავდა სიმსუყე სოფლის,  
ვის გინდათ ნიგოზი, თხილი,  
სავსეა, ქვეყანას ჰყოფნის!

მიმქრალი





ნაწევები პოემიდან

კომუნარების სიმღერა

ჩვენ გავიარეთ ბრძოლა გმირული,  
სამოქალაქო ომის ხანძარი,  
თერთმან შემმა თავგანწირული,  
ფრონტების სივრცე უზარმაზარი.

მოვედეთ მინდვრებს მკაცრი შეტევით  
და მრისხანებით — როგორც სკვითები,  
ვეკვეთეთ მტარვალთ თავგამეტებით,  
დავწვით წარსულის გზები, ხიდები.

ველზე წვებოდა შავი ბინდები,  
თოვლის ნამქერის იდგა ფანტელი.  
სოფლებს სიჩუმით და გარინდებით  
არბევდა შიში და ჟრუანტელი.

ქალაქს მოადგა მტერი ვერაგი,  
სურდა ქალაქის გავერანება,  
მაგრამ ჩავაცვით ცეცხლის პერანგი  
და ბნელ სურვილებს თავი ანება.

ჩვენ არ გვივებია ზურგის ჩვენება,  
მკლავი რკინაა, გული — ფოლადი.  
მტრის მკერდზე ტყვიის კვამლი ბოლავდა,  
ტორავდა მხედართ გადაჭენება.

ქუჩა გრგვინავდა ბარიკადებით,  
ნატყვიარ დროშას შლიდენ ქარები.  
ყიჟინით, ბრძოლით და თავდადებით  
წინ მივდიოდით კომუნარები.

და ისტორიის ფოლადფურცლიან  
წიგნში შევიდა წითელი ფერით:  
პროლეტარული რევოლუცია,  
დიდი ლენინი და ოქტომბერი.

გათავდა ომი...

დანგრეულ ქარხნებს, მანქანებს დამდგარს  
შეებო ხელი ნატვრით ნანდომი,  
როცა გათავდა ქვემეხთ ღვანდგარი,  
სამოქალაქო გათავდა ომი.

ფრიალებს დროშა სისხლით ნაფერი,  
კომუნარების მკერდით ფარული.  
დაეცა მიწას სხვა მზის ნათელი  
და რესპუბლიკის სხვა სიხარული.

ვოლგამ გაშალა ფიქრი ტრამალთა,  
ყველგან სიახლის ცეცხლი ანთია.  
წამოდგა მასა, მხარი გამართა  
და უზარმაზარ ქვეყნის განთიადს  
ბრწყინვალე თვალთა ესროლა მზერა.

ფოლადისა და რკინის სიმღერა  
დაჩაგრულ ერებს ზეიმით მისწვდა.  
წითელ ფერებით გადაიფერა  
განახლებული საბჭოთა მიწა.

დასაბამიდან დახუნდულ ხელებს,  
მონურ ყოფაში შრომას ნაწვალევს,  
კუნთებს ნატყვიარს და გულს ნახელებს,  
მილიონების გახელილ თვალებს

უხმო ქარხანამ, ველმა და ყანამ,  
სოფელმა ქალაქს, სოფელს ქალაქმა!  
ყველა მსახვრალი და სალახანა  
დაუნდობელად მოსპო, ალაგმა...

წამოდგა მასა; გრდემლი და ქურა  
აახმაურა მან ბრიკადებით;  
მოხსნა ქუჩიდან და დამკვრელურად  
ამართა სულ სხვა ბარიკადები...



## შრომის ზეიმი

ზეიმობს შრომა. ტემპებით ჩქარით  
ამბობდა მკერდში ხალისი, ძალა,  
მიარღვევს დღეებს მშრომელთ ლაშქარი,  
ქვეყნის შენებად რომ გაიშალა.

ყველგან: ქალაქად, სოფლად, მთა-ბარად  
ინდუსტრიალურ ტალღად ქცეული  
ბორგავს და იბრძვის დაუდევარად  
მკლავი ნაცადი, ბრძოლას ჩვეული.

თქვენ ააზვირთეთ ფოლადის, თუჯის  
და სხვა დოვლათის მთები ვეება,  
დაიმორჩილეთ ბუნება ურჩი,  
მკლავი—ჯავშანი დაზგებს შეება.

ცამდე ამართულ მაღალ გიგანტებს  
(მოვთვალო, მაგრამ რამდენ - რომელი?)  
ბოლშევიკური ტემპები ანთებს,  
ანთებს შეტევა დაუცხრომელი.

ოქტომბრის ცეცხლში არის ნაწრთობი  
ჩვენი ნაბიჯი და გაქანება.  
მღერიან ერთად, მღერიან გრძნობით  
ტემპი, მიღწევა და მანქანები!

აი მაღარო. მანქანების ზოდი,  
დაად ხუთწლედის ფოლადის რგოლი...  
ვაგონი მიდის, ვაგონი მოდის,  
ვაგონი ტემპით გამონაქროლი.

გიჟო მდინარევი! არ გვინდა ლელი,  
ველურ ტალღების არ გვინდა ნანა;  
თეთრ ნახშირს უხმობს, თეთრ ნახშირს ელის  
ინდუსტრიის და შრომის ქვეყანა.

გახედე სოფელს! ჩაგრული მარად—  
დღეს კოლექტიურ ჯაფით რაზმული,  
სოციალისტურ გზაზე დამდგარა  
ქალაქთან მტკიცედ გადარაზული.

ოქტომბრის ცეცხლში არის ნაწრთობი  
ჩვენი ნაბიჯი და გაქანება.  
მღერიან ერთად, მღერიან გრძნობით  
ტემპი, მიღწევა და მანქანები!

იქ დნებროჰესი ურიცხვ მზეებად  
გადაფენია ქარხნებს უამრავს,

ველებს ელგებით გადაუარა  
და გოლიათურ ბრძოლას შეება

ხუთწლედისათვის. უთვალავ ბორბლებს  
ის ამოძრავებს ზათქით, შეტევით.  
უგზავნის ახალ საბჭოთა სოფლებს  
შუქთა შადრევნებს რკინის სვეტებით.

დონბასით ქვეყნის მაჯა ზვიადობს,  
ტორტმანობს ბრძმედი, ბორგავს ღუმელი—  
ევროპის ჩამქრალ და უნიათო  
დამბალ ხერხემლის გადამღუნველი.

რაა სიძნელე ან დაბრკოლება  
ბოლშევიკური ნების უძლევი,  
როცა პარტია ურყევ ბრძოლებით  
მასებს წინ უხმობს და მიუძღვება!

ოქტომბრის ცეცხლში არის ნაწრთობი  
ჩვენი ნაბიჯი და გაქანება,  
მღერიან ერთად, მღერიან გრძნობით  
ტემპი, მიღწევა და მანქანები!

მოდინ ძველი ქვეყნის მეტოქედ  
ტყუარ აზმები ახალ თაობის—  
როგორც ლენინის აზრთა ეპოქა,  
როგორც სიმართლე და უკვდავება.

ოღი ან ტრ აქტორ-კომბაინები  
ვინდვრებზე რკინის ნაირ ჯოგებად,  
გრომ ხვალ (ქვეყანამ როცა ინება)  
ნახონ ევროპის წამოჩოქება.


შენ რაღას ფიქრობ მტკვარო დიალო,  
ხმაგამოცვლილო ოქტომბრის ტემპრით,  
ზაჰესით რომ თქვი სავანთიადო  
'შრომის სიმღერა დამკვრელურ ტემპით...'

რიონპეს, შენებრ ცეცხლში მცურავი,  
მოდის ლამიან მთების დაბრვეით  
რომ ელექტრობით დაძრათ სურამის  
და ზესტაფონის გადასარბენი.

ოქტომბრის ცეცხლში არის ნაწრთობი  
ჩვენი ნაბიჯი და გაქანება,  
მღერიან ერთად, მღერიან გრძნობით  
ტემპი, მიღწევა და მანქანები!

არნო ონელი





(ზღაპარი)

გერმანიის ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი მკერავი. მას სახელად ჰანსი ერქვა.

ის მთელი დღეობით იჯდა ფანჯარასთან მღვარ მაგიდაზე და კერავდა ტანსაცმელს. კერავდა პალტოებს, ქილეტებს, შარვლებს, ხალათებს და სხვას.

ერთხელ, როცა ჰანსი ჩვეულებრივად იჯდა ფანჯარასთან და კერავდა, ქუჩიდან მოესმა ვიღაცა ქალის ხმა: „მურაბა... ქლიავის მურაბა... ვის უნდა“...

— მურაბა? — გაიფიქრა მკერავმა, — ისიც მერე ქლიავის! ეს რა კარგი რამე იქნება.

მან ფანჯრიდან გადასძახა:

— ქალო, ქალო, მოდი აქ! მომეცი მურაბა.

ჰანსმა იყიდა მისგან ნახევარი ქილა მურაბა, მოიტება თავისთვის პური, წაუსვა ზედ მურაბა და განაგრძო ქილეტის კერვა.

ამბობს თავისთვის ჰანსი: „მოვათავებ ქილეტის კერვას და შემდეგ მურაბას შევექცევი“.

ოთახში კი, სადაც ჰანსი მუშაობდა, აუარებელი ბუზი იყო, მგონი, ათასზე მეტიც.

ბუზებს ეცათ თუ არა მურაბის სუნი, იმ წუთშივე მურაბიან პურის ნატებს დაესიენ.

— ბუზებო, ვი, ბუზებო, — მიმართა მკერავმა. — თქვენ აქ ვინ მოგიხმობთ? რისთვის მოფრენილობართ! ეს ჩემი პური და მურაბაა და არა თქვენი!

ბუზები კი ჰანსს სრულიადაც არ აქცევდნენ ყურადღებას და პურის ნატებზე მურაბის წუწნას განაგრძობდნენ. მაშინ ჰანსმა ტილოს წამოაგო ხელი და ისე შემოუქნია ბუზებს, რომ ერთიც აღარ გადაჩენილა ცოცხალი.

— როგორი ყოჩალი კაცი ვარ, — თქვა მკერავმა ჰანსმა... — ხედავთ, ახლა რა გქენი?! ეს ამბავი მთელმა ქალაქმა უნდა გაიგოს! და არა მარტო ქალაქმა, დეე, მთელმა მსოფლიომ იცოდეს ჩემ შესახებ, დეე, იცოდენ, რომ მე ასეთი ძლიერი ვარ! და გაიფიქრა: „შევიკერავ ქამარს და ზედ დიდი ასოებით ამოვქარავ“:

— როცა გავჯვარდები, შვიდს ერთად ვკლავ!

ასეც მოიქცა, შემოირტყა ეს მოქარგული სარტყელი, ჩაიღო ჯიბეში პური და ჭყინტი ყველი და გარეთ გავიდა.

მან ჭიშკართან ჩიტს შეხედა, რომელიც მახეში გაბმულიყო, ჭყიბინებდა, წვალობდა, მაგრამ თავს ვერ ახწევდა. მივიდა მასთან ჰანსი, გამოხსნა მახიდან და იმ ჯიბეში ჩაიღო, სადაც ყველი იღო. მიღის ჩენი ჰანსი და ბოლოს ერთ მალალ მთაზე ავიდა. ავიდა და შეხედა ერთ გოლიათ ადამიანს, რომელიც ჩამომჯდარიყო ერთ გორაზე და ირგვლივ მიდამოს ათვალიერებდა.

— გამარჯობა, ამხანაგო, — მიმართა მას ჰანსმა. — წამოდი ჩემთან ერთად და სხვადასხვა ქვეყნებში ვიმოგზაუროთ.



— შენ სადაური ჩემი ამხანაგი ხარ, — უპასუხა გოლიათმა, — შენ ერთი პატარა სუსტი არსება ხარ, მე კი ხომ მხედვე რამხელა და რა ძლიერი ვარ. გასწი აქედან, თორემ...

— მერე და ხედვე ამას? — უთხრა ჰანსმა და სარტყლის მონაქარგზე მიუთითა, სადაც დიდი ასოებით იყო მოქარგული: „როცა გავჯავრდები, შეიღს ერთად ვკლავ“.

შეხედა მას გოლიათმა, წაიკითხა და გულში გაიფიქრა: „ვინ იცის, შეიძლება მართლაც ღონიერია. მაგრამ მაინც გამოცდაა საჭირო“. ამიტომ დაავლო გოლიათმა ქვას ხელი და ისეთი სიმძლიერით მოუჭირა, რომ მუჭიდან წყლის წვეთები გამოვიდა.

— აბა ერთი სინჯე და შენც ასე ქენი, თუ ღონიერი ხარ, — უთხრა გოლიათმა.

— სულ ეგ არის შენი ვაჟაკობა!? უთხრა ჰანსმა, — მე ეგ სამასხროდაც არ მეყოფა.

დაიხარა, ვითომ ქვა უნდა აეღო, ამოიღო ჯიბიდან ყველი, მოუჭირა მაგრად ხელი და წყალი გააღინა.

გაუკვირდა გოლიათს ასეთი ღონე, მაგრამ გადაწყვიტა კიდევ შეემოწმებია. წელში მოიხარა, დაავლო ქვას ხელი და ისეთი სიმძლავრით გატყორცნა, რომ ქვა არც კი ჩანდა.

— აბა — უთხრა მკერავ ჰანსს, — სინჯე, თუ შენც შეგიძლია!

— მართლა შორს ისერი და, გეტყობა, ღონე გაქვს, მაგრამ შენს მიერ გატყორცნილი ქვა მაინც მიწაზე ეცემა, მე კი ისეთი სიმძლავრით გავტყორცნი ქვას, რომ ცას მიეკვრება და მიწაზე აღარ დაეცემა. მან ხელი ჯიბეში ჩაიყო, ამოაცოცა იქიდან ჩიტი და გატყორცნა ჰაერში. ჩიტი ჯერ შეკუმშულად ავარდა ჰაერში და შემდეგ სწრაფად გაფრინდა. გაფრინდა და, რასაკვირველია, გოლიათისა და ჰანსის დასანახად მიწაზე არც დაეცემულა და არც დაფრენილა.

— აი როგორ უნდა ამხანაგო! — ამბყად უთხრა ჰანსმა.

— ჰო, რა ექნა, — თქვა გოლიათმა, — მაგრამ შენ შეგიძლია აი ეს ხე ბეჭზე გაიდო და შინ მიიტანო? — შეეკითხა შემდეგ ჰანსს, მიიყვანა მოჭრილ, მაგრამ გაუკაფავ ხესთან და უთხრა: — აბა

თუ შენ ეგრე ღონიერი ხარ, მომეხმარე, რომ ეს ხე ტყიდან გამოვართვიოთ და შინ წავიღოთო.

— რატომ არა, — უპასუხა მკერავმა და თანაც გაიფიქრა: „შენ გოლიათი ხარ, ძლიერი, მაგრამ სულელი, მე კი სუსტი, მაგრამ ჭკვიანი და მოხერხებული. შენს მოტყუებას მე ყოველთვის შეეძლებ“ — გაიფიქრა ეს და მიმართა გოლიათს:

— შენ ამ ხის წვერი მხარზე გაიდევი და გასწიე, მე კი ბოლოს ავწევ და წავიღოთ სახლისაკენ. მე, როგორც ძლიერი, მძიმე ბოლოს ავწევ.

ასედაც მოიქცენ. გოლიათმა გაუკაფავი ხის წვერი მხარზე გაიდვა და გაათრია, ჰანსი კი უკან ტოტზე შესკუბდა და ხეს თან გაჰყვა. გოლიათს უკან მოხედა არ შეეძლო, რადგან ხის ტოტები ამის საშუალებას არ აძლევდნენ, მკერავი ჰანსი კი არხინად ტოტზე იჯდა თავისთვის და ღიღინებდა კიდევ.

მიათრევდა ხეს გოლიათი და წელში წყდებოდა. ბოლოს დაიღალა და მკერავს უთხრა:

— გესმის, მე ძალიან დავიქანცე და ხე მხარიდან უნდა გადმოვავდო.

გადმოხტა უცებ ჰანსი ტოტიდან, ხის ბოლოს ორივე ხელი შემოსჭიდა, თითქოს მასაც მიქანდა ხე, და გოლიათს სიცილი დაეყარა:

— ე, შენ რა გითხრა, მაგოდენა ახმახი ხარ და ხის წათრევა არ შეგიძლია!

ხე დატოვეს და ორივე ერთად გაუდგა გზას. იარეს, იარეს და ბოლოს ერთ გამოქვაბულში მივიდნენ. იქ ცეცხლის კოცონთან





ხუთი გოლიათი იყო და თითოეულს ხელში თითო შემწვარი ცხვარი ეჭირა.

— აჰა, — ეუბნება გოლიათი ჰანსს, — ჩვენ აქ ვცხოვრობთ. აი შენთვის საწოლი, დაწე და დაიძინე.

შეთვალთქონა ჰანსმა საწოლი და გაიფიქრა: „რად მინდა ამხელა საწოლში ჩავწვე, ხომ დავიკარგე შიგ“ და გოლიათების შეუძინებლად კუთხეში მიწვა და დაიძინა.

შულამისას გოლიათი ადგა, მოძებნა რკინის ზოდი და მთელი ძაღლით დაარტყა ლოგინზე, იმ იმედით, რომ ჰანსი ცოცხალი არ დარჩებოდა. ლოგინიდან ხმაურობა არ მოსმია.

„აჰა, — ჩაილაპარაკა გოლიათმა, — უკვე გავაცხებინე სული“.

დიღით გოლიათები ადგენ და ტყეში შეშის საჭრელად წავიდნენ. შემდეგ მკერავმაც გაიღვიძა, ხელობრი დაიბანა, თმა გადივარცხნა და გაედევნა გოლიათებს. შეხედეს ჰანსს გოლიათებმა და შიშით ლამის გული გაუჟკდათ. ვაი ჩვენ დღეს, — გაიფიქრეს — თუ ჩვენ იგი რკინის ზოდით ვერ მოვკალით, სამაგიეროდ ახლა არც ერთს ცოცხალს აღარ გავვიშვებთ. ეს თქვეს და სხვადასხვა მხარეს მოუსვენს, მკერავი კი თავისთვის გზას გაუდგა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ჰანსი ერთი მეფის სასახლეს მიაღწია. დაღლილი იყო, ჭიშკართან ბალახზე წამოწვა და დაეძინა. როცა ეძინა, მოვიდნენ მეფის მსახურნი, ათვალთქონა-ათვალთქონეს და სარტყელზე ამოქარგული წარწერა შეამჩნიეს: „როცა გავჯავრდები, შვილს ერთად ვკლავ“. „აი მოსულა ჩვენთან ჯალათი, — თქვეს ერთმანეთში მეფის მსახურებმა. — ეს უსათუოდ მეფეს უნდა შევატყობოთ“.

წავიდნენ მოსამსახურენი მეფესთან და მოახსენეს.

— ჩვენთან მოსულია ვიღაცა ჯალათი, მოვიწვიოთ სახლში სამუშაოდ. თუ ომი მოგვიხდება ვისთანმე, ის გამოგვადგებაო.

მეფეს გაეხარა.

— მართალი ხართ, ძალიან კარგი, — თქვა მან.

გამოიძინა მკერავმა, წამოდგა ზეზე, შევიდა სასახლეში და დაიწყო მეფესთან სამსახური. მე-

ფის მოხელეები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ჰანსი მეფის ჯარში მათთან ერთად წაიწვიეს სამუშაოდ.

— და მართლაც რა სიკეთეა მასთან სამსახური? თუ წაიწვიები და რამე უთხარი, ცემა-ტყეპას აგიტყენ. ეგეც არაფერი — ერთი გაქნევით შვილს სულს გავვაცლის.

წავიდნენ მეფესთან დამოახსენეს:

— ჩვენ მასთან ვერ ვიმუშავებთ, სამსახურიდან გავვათავისუფლეთ. მეფემ თვით მოინანა; რომ ასეთი ჯალათი მოიწვია სამსახურში.

— და მართლაც, რომ გააჯავრონ, მათაც მოკლავს და მერე მეც მომკლავს და ჩემს ადგილს თვით დაიკავებს, — გაიფიქრა მეფემ და გამოსავალს ეძებდა, რომ ეს არასასიამოვნო ვინმე თავიდან მოეცილებია. მან დაუძახა ჰანსს და უთხრა:

— ჩემი სამფლობელოს ერთერთ ტყეში ორი ყაჩაღი ცხოვრობს. ისეთი ღონიჭრები არიან, რომ მათ ახლოს გავლითაც კი ვერავის გაუფლია. მე შენ გიბრძანებ მოძებნო ისინი და დაამარცხო. დასახმარებლად მოგცემ ასობით მხედრებს.

— კარგი, — უთხრა მკერავმა. — მე როცა გავჯავრდები, შვიდ კაცს ერთად ვკლავ და ორის მოკვლა რა დიდი საქმეაო, — და წავიდა ტყეში.

— ასი მხედარი მას უკან გაჰყვა. მივიდა იმ ტყესთან და შესძახა:

— თქვენ, ეი, მხედრებო, აქ მოიცადეთ, ყაჩაღებს მე ერთიც ვეყოფი.

მკერავი ჰანსი შევიდა ტყეში, გაიარა 200 ნაბიჯი და ხედავს ერთი დიდი ხის ძირს ორი ყაჩაღი წევს და ძინავთ.

ჯიბები კენჭებით აივსო, ავიდა ხეზე და იქიდან ერთერთ ყაჩაღს კენჭების სროლა დაუწყო. ესროლა რამდენიმე, მაგრამ ყაჩაღი არ იღვიძებდა. ბოლოს ერთი კენჭი ყაჩაღს ცხვირში შეუვარდა, მან გაიღვიძა და ამხანაგს ხელი წაჰკრა.

— რად მცემ?

— რას ამბობ? — უპასუხა ყაჩაღმა, — მე შენთვის არ მიცემია, ნამდვილად მოგჩვენა.



ეს თქვეს და ორივემ კვლავ დაიძინა. მაშინ მკერავმა მეორე ყაჩაღს დაუშინა კენჭები, მან გაიღვიძა და გულმოსულმა დაუწყა ამხანაგს ყვირილი:

— ქვებს რად მიშენ? ჭკუიდან ხომ არ აიშალე! და ერთი მაგრად სდღლიხა მუშტი შუბლში. მოუვიდათ ჩხუბი, დაცხეს ერთმანეთს ქვები, კეტები, მუშტები. მანამდის ურტყეს ერთმანეთს, სანამ ორივეს ცემით სული არ ამოხდა.

მკერავი სიხარულისაგან ლამის ჭკუაზე შეშლილი ჩამოვიდა ხიდან, ამოიძრო მახვილი და ორივეს გულები გაუბო. შემდეგ გამოვიდა ტყიდან და მხედრებს მიმართა:

— საქმე გაჩაჩხულია, ორივე ყაჩაღი მოკალი. მებრძოლენ ქვებით, კეტებით, მუშტებით, მაგრამ ჩემთან რა გაუვიდოდათ! ხომ იცით, ორს კი არა, რომ გავჯავრდები, შვიდს ერთად ვკლავ!

შევიდენ მხედრები ტყეში და ხედავენ: მართლაც გდია მიწაზე გულგამირული ორი ყაჩაღი და არ ინძრევიან. დაბრუნდა მკერავი ჰანსი მეფის სასახლეში. მეფე ცბიერი და ბოროტი იყო და გაიფიქრა: ძალიან კარგი, თუ ყაჩაღები დახოცე, ახლა ისეთ საძინელო საქმეს დაგავალე, რომ თან გადაჰყვე.

— ისმინე, — ეუბნება მკერავს ხელმწიფე, — ახლა წადი და მარტორქა მოკალი.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა ჰანსმა, — ეს თამამად შემიძლია: მე როცა გავჯავრდები, შვიდს ერთად ვკლავ და ერთი მარტორქის დამარცხება ჩემთვის სულ ადვილი საქმეა.

წავიდა ტყეში და თან წაიღო ნაჯახი და თოკი.

— დიდი ხანი არ მოსდომია ჰანსი ტყეში მარტორქის ძებნას. მარტორქა თვით გამოეჩინა ჰანსისაკენ, რქა გულში გასაგმირად მოუმაჯვა და ჯავარი თმები ყალყზე დაუდგა.

მკერავი სწრაფად ამოეფარა ხეს. მარტორქამ, ცოფმორევით გაქანებულმა, რქა ჰანსის მაგიერ ხეს შეასო ისე მაგრად, რომ გამოძრობა ვეღარ შეძლო.

— აი ახლა ხომ ვეღარსად წამიხვალ, — თქვა მკერავმა და შემოაუჭირა კისერზე თოკი, შემდეგ ნაჯახით რქა ძირში მოსჭრა და დამორჩილებული მარტორქა ხელმწიფის სასახლისაკენ გაუყენა.

მკერავმა მარტორქა პირდაპირ მეფის სასახლეში შეიყვანა. მარტორქამ რომ ხელმწიფე დაინახა, თვალები სისხლით აევსო, თმა აებუძგა და დაიღრიალა. ხელმწიფეს უნდოდა ეთქვა:

— ოი, როგორი საინტერესოა მარტორქა. მაგრამ მარტორქის მხეცური მრისხანებით თავზარდაცემულმა ძლივს მოასწრო დაძახება: „ვაი!“ და შეშინებული გაიქცა. მისი მოხელეები ცხვირპირის მტვრევით გაჰყვენ მას. ხელმწიფე შორს გადიკარგა და თავის სამფლობელოს სრულიად მოსწყდა, მკერავმა კი მშვიდი ცხოვრება დაიწყო, კვლავ პალატების, ჟილეტებისა და შარვლების კერვას მიჰყო ხელი. თავისი სარტყელი კედელზე ჩამოკიდა და მას შემდეგ არც გოლიათებთან და არც ყაჩაღებთან შეხვედრა და ბრძოლა არ მოხდომია.

გადმოქართულებული ბ. ს. მიერ



# ინსპირი

## ძღვნად მოსწავლე ახალგაზრდობას

დანიაში დაიბადა,  
ვიცი, პრინცი ჰამლეტი\*)  
და როდესაც მოიზარდა,  
საქმე მოხდა ასეთი:  
პრინცს საკითხი წამოეჭრა  
მწვავე — „ყოფნა-არყოფნის“  
და საკითხი რომ გადაჭრას,  
მას ძალ-ღონე არ ჰყოფნის.  
და პრინცს პრინციპიალური  
კითხვა შეტად ტანჯავდა.  
მასზე ჰქონდა გულისყური,  
ენერგიას ხარჯავდა,  
მაგრამ მაინც არ იცოდა  
როგორ გადაეწყვიტა,  
ექვის ცეცხლში ის იწოდა,  
მწვავე კითხვამ გაცვითა.  
დღეს ჩვენ პრინციპიალურად  
პრინცის პრინციპს არ ვიღებთ,  
სიცოცხლეზე ხელს ლაჩრულად  
აბა დღეს ვინ აიღებს!  
ჩვენში ჩვენი ახალგაზრდა  
სხვაგვარად სჯის და მღერის:  
— რის არყოფნა!? უნდა გავხდეთ  
სულ ყველა ინჟენერი!  
— გავხდეთ ინჟენერი,

სხვა შორს ყველაფერი!  
— ბუხპალტერი?  
— ნუ ხარ შტერი!  
— პედაგოგი?  
— მისი ქოქი!  
— მსახიობი?  
— შუბლზე კობი!  
— არც ექიმი?  
...ტუნზე ღიმი!  
— „ჰმ! ექიმი!“ — ამბობს გულში  
ჩვენი კომკავშირელი,  
ვჩეხო მკვდრები, შიგნეულში  
ეუფათურო მათ ხელი?!  
იქნებ იგი სიცოცხლეში  
იყო ვინმე ბურჟუა?  
მივდგე, ვჩეხო მისი ლეში?!  
რატომ დაკარგო ჰკუა?  
მაშინ გიყი ხომ ვიქნები,  
რომ მე გავხდე თავის ნებით  
პედაგოგი! უკაცრავად!  
არ ვარ ავად,  
არც ჰკუაზე ვარ შემცდარი!  
შემცდარია ის, შემცდარი,  
ვინც რომ მგზავნის კომკავშირელს,  
მე, ბაღლებთან! დამხსენით!  
თუ გსურთ, სულ მომხსენით!  
ანდა გავხდე ბუხპალტერი,  
ხომ არა ვარ გიყი, შტერი!

\*) პრინცი ჰამლეტი ინგლისელი დრამატურგის შექსპირის ტრაგედიის „ჰამლეტის“ მთავარი მოქმედი პირია.



უნდა ვყლაბო დავთრის მტვერი,  
დამეკარგოს ჯანი, ფერი...  
არა! თავი დამანებეთ!  
ხვერ ქარხნებს აშენებენ,  
გვინდა ხილი, გვინდა გზები,  
საჭიროა ინჟენერები!!  
და ამგვარად მსჯელობს დღეს  
ჩვენი ახალგაზრდობა,  
აბა, ცადეთ, შეეკითხეთ,  
თუ სურთ პედაგოგობა,  
ექიმობა, ბუხჰალტრობა  
ანდა მსახიობობა?!  
სხვა არა სურთ არაფერი,  
უნდა გახდენ ინჟენერი!  
კარგი, ვთქვათ, რომ ასე მოხდა:  
გავიდა ოცი წელი,  
და გამრავლდენ ინჟენერები  
ქვეყნად აურაცხელი.  
ქმარი, ცოლი, დედა, მამა,  
ინჟენერია ყველა!  
ამდენ ინჟენერებისგან  
აღარ არის ხომ შევლა!  
და ბავშვებიც ამ ინჟენერებს  
(ვაჟი იყოს, გინდ ქალი)

ინჟენერული უჩნდებათ:  
ფეხი აქვთ ვით ფარგალი,  
ცილინდრს მიუგავთ თავი,  
მხრები ვით სახაზავი,  
პირი — ქარხნის საყვირი,  
ღირიქაბლივიით — ცხვირი!  
თითქოს საქმე გაკეთდა  
და ცხოვრებაც აყვავდა,  
მაგრამ რა... ბევრი რამ  
გაფუქდა და გაფლავდა.  
ფაქტი: აგერ ინჟენერსა  
უცებ ასტივდა კბილი;  
ყვირის, იგლეჯს თმას და წვევს,  
ველარ შველის ცოლშვილი.  
მას ექიმი დასკირდა,  
მაგრამ საქმე გაქირდა!  
ყვირის: „ჩქარა ექიმი!  
მაგრამ... ჰმ! ტუჩზე ღიმი!  
უთხრეს: „არ გეყავს ექიმი!  
მოაბით კბილს ტრაქტორი,  
ამოგაძრობთ, მოტორით,  
სხვაფრივ არ არის შევლა:  
ინჟენერია ყველა!  
(დასასრული იქნება)

თარგმ. ბარტოლდანი ი. სინარულიძის მიერ

## საათების გაფიცვა

მოუსვენარი რამ იყო გოგი, დილიდან სა-  
ლამომდის ცელქობდა, ხან რას ჩაიდენდა, ხან  
რას. ძალიან აინტერესებდა მას საათი და, აი,  
ერთ დღეს ხელთ იგდო კიდევ. დედა შინ არ  
იყო, საათი კი წყნარად და თანაბრად წიწკინ-  
ებდა: „ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!“ ისრები ვარბოდენ,  
თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მაგრამ დი-  
დი მაინც ჩაგრავდა პატარას...  
უცქერდა გოგი და ვერ მოითმინა, გახსნა,  
დაიწყო ხრახნების მოშვება, უჩხიკინა, უჩხიკინა  
და გააგულისა ისრები: დადგენ, აღარ სურთ მო-  
ძრობა! შეწყდა საათის წიწკინი, და ფერი ეცვა-  
ლა გოგის. „ეს რა ხათაბალა ავიტყხე“ — გაი-

ფიქრა მან და წარმოუდგა დედ-მამის მოლუ-  
შული სახეები...

\* \* \*

სძინავს გოგის. მამამ ძალიან უსაყვედურა,  
საათი რომ მოშლილი დახვდა და დიდხანს ლა-  
პარაკობდა საათის მნიშვნელობის შესახებ. დღე-  
მდის არ უფიქრია გოგის, თუ ასე დიდი მნი-  
შვნელობა ჰქონდა საათს, ახლა კი იცის. დაწვრი-  
ლებით უამბო მამამ... „რა მოხდებოდა, საათი  
რომ არ ყოფილიყო?“ — ჰკითხა მამამ და თვი-  
თონვე გასცა პასუხი.  
რა საოცარი ამბავია, რამდენი შეძლებია ამ  
პატარა საათს, მის ორ უმნიშვნელო ისარს!



სძინავს გოგის, ეს იმერება მამის ნალაპარაკები...

\* \*

მძიმედ ქმინავს ბათომის სადგურზე ორთქლმავალი. მზად არის ვაგონებიც, ეს საფოსტო მატარებელია, დილის ცხრა საათზე რომ გამოდის.

მზად არის მატარებელი, მაგრამ, ნეტავ, რა დროა? საათების გაფიცვაა, არცერთი საათი მსოფლიოში არ მუშაობს...

მგზავრების ერთი ნაწილი უკვე ორი საათიცაა სადგურზე იცდის. დელავენ, პროტესტს აცხადებენ.

— ახლა ცხრა საათი კი არა, თერთმეტიც იქნება; რას უყურებთ, გაუშვით მატარებელი! ცხარობენ მგზავრები და სალაროს კარს აბრაზუნებენ, მოლარე კი თავის ცოლშვილთან ზის და ჩაის მიირთმევს, არ ჩქარობს, რადგან, მისი აზრით, ჯერ ადრეა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაიძრა მატარებელი, და ერთი საათის შემდეგ კი მოაწყდა სადგურს ხალხი.

— რა? მატარებელი წავიდა? რატომ წავიდა, ჯერ ხომ ადრეა! — აყვირდნენ დაგვიანებული მგზავრები.

იმ დღეს კატასტროფა მოხდა რკინისგზებზე, რადგან უსაათოდ ვერ მოაწესრიგეს მატარებლების მიმოსვლა.

ზღვაში საშინელ დღეში ჩავარდნენ კაპიტნები. გემებს გზა აერიათ უსაათოდ. ვერც ერთმა კაპიტანმა ველარ გაიგო, თუ ამჟამად სად იყო მისი გემი.

დადგა ქარხნებიც, რადგან შეუძლებელი გახდა მუშაობა: ზოგი მანქანა ჩქარობდა, ზოგი ჩამორჩა, სულ აღომხალდა ყველაფერი! მთელ ამ რთულ მანქანებს ხომ პატარა საათი განაგებს, ის აწესრიგებს მათ მუშაობას.

აი სკოლაც. ლიტერატურის მასწავლებელი გატაცებით უხსნის მოწაფეებს „კაცია-ადამიანს“, მოწაფეებიც უსმენენ, და ასე გადის დრო. მაგრამ რამდენი — ეს არაფერი იცის. დარაჯს მობეზრდა ჯდომა და თვლემს, მასწავლებელი კი ლაპარაკობს, ლაპარაკობს, მოწაფეები უკვე მოიქანცენ, ზარი კი არსად ჩანს, ზარს ვინ და-

რეკავს, საათი რომ გაფიცულია... თურმე, ორი საათი გრძელდებოდა ეს გაკვეთილი... მათემატიკა კოსი კი, რომლის გაკვეთილიც უნდა მოწყობილიყო ლოდან ლიტერატურისას, ამ დროს არხვინად კითხულობდა გაზეთს ნინოშვილის ბაღში: რა ეჩქარებოდა, მისი აზრით, ჯერ ადრე იყო...

აი თეატრიც.

— ჩქარა, ჩქარა, გიორგი, — ცხარდება ანიკო — თეატრში დაგვაგვიანდა...

— მივიდნენ, იქ კი სიბნელეა. მაელ საათს იდგენ და სასაუზმეში ერთი თუმანიც „მი-აქულიტეს“ ამ ყურყუტში. გაალო კარი... დაიწყო წარმოდგენა.

— სად არიან ქეთო და კაკო? იმათაც ხომ ეს ამონემენტი აქვთ, — გადაულაპარაკა ანიკომ, კაკო კი ამ დროს ხვრინავდა, მას ექვსი საათი ეგონა მხოლოდ. როდესაც ხალხი მეორე მოქმედების გათავებისას აფუსფუსდა დერეფნებში, მაშინ ჩამოვიდა ქეთოს პალტო დარაჯმა და კაკომ უთხრა საყვედურით ქეთოს:

— ხომ ხედავ, შენ კი დამახრჩვე, გვიანააო.

იმას ეგონა, წარმოდგენა არ დაწყებულაო.

ერთ ოჯახში დიდი ფუსფუსია. სახლის პატრონი სტუმრებს ელის, თავის ამხანაგებს. გუშინ ჩამოვიდა სვირის რაიონიდან და თან ჩამოჰყვა შემოდგომის დოვლათი...

— რა გქნა, სად არის ამდენხანს ეს ხალხი, — ნერვიულობს დიასახლისი.

სტუმრები კი არსად ჩანან. გადის დრო, დრო განუსაზღვრელი. მოიღალა დიასახლისი. ავდრიან დღესავით გამოიყურება ლავროსიც. ცოტაც კიდევ — და გადაწყვიტეს ძილის სამეფოში შესვლა, ეძინებათ ბავშვებს, ეძინებათ დიდებს...

— ხეხ, — ის იყო დაიწყო თავისი ოპერის არია ლავროსის ცხვირმა, რომ გაისმა კარების ბრაზუნნი.

— ეი, მასპინძელო, თუ არ გვიღებ, რაღას გვეპატივებოდი! — სურდოსაგან გამოხეებული ხმით გაიძახის ერთი მოსულთაგანი.

— ვაი, თქვენ კი წავიღოთ შავმა ქირმა! — გასძახა მასპინძელმა ლოგინიდან. — შუალამისას ვინ მიდის სტუმრად, თქვე გადარეულებო!



სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს გოცუბით.  
— შუალამისას?!  
აი რა ამბები დაატრიალა საათების გაფიცვამ.

უამბო დედ-მამას თავისი სიზმარი და ჰკითხა მამას:  
— ვინ გააკეთა, მამა, პირველად საათი?  
— საათის ისტორია გაინტერესებს, კარგი, სალამოს ვიამბობ.  
მამამ შესრულა დანაპირები...  
(დასასრული იქნება)

შ. თაბუკაშვილისა



( ა რ ა კ ი )

კაცმა ძროხა დაკარგა  
პარჩენალი, მეწველი,  
და შეიქნა ოჯახი  
სულ იმისი მძებნელი.  
მამამ მთები მოლახა,  
დედამ კიდევ — ველები.  
სულ დაჰკითხეს ყოველგან  
გამვლელ-გამომვლელები.  
შვილი დადის ქალებში  
და დაეძებს „ქერამას“,  
სადმე რომ იპოვიან  
„დიდედას“, ეს სჯერა მას...  
ბუჩქის ძირას უეცრად  
შემოესმა ფაჩუნი,

ნახა — მისი „ქერამა“  
გდია გამოფატრული.  
მისდგომიან, წიწკნიან  
ძროხას ტურა და მგელი.  
აქეთ ტურა ეწევა,  
იქით ის საძაგელი...  
გამოიქცა შინისკენ  
დაზაფრული ბიჭუნა  
და ნახული ამბავი  
მამამისს შესწუწუნა:  
— მამა, ჩვენი „ფუჩინო“  
ქალას ვნახე აკდლოლი...  
ტურას შესცოდებია  
მანც გამოფატრული:  
იგი ჩვენკენ ეწევა  
და მგელი კი ტყისკენა...  
— არა, შვილო, ორივე  
მიითრევს თავისკენა,  
ტურისაგან ეგ „ხათრი“  
ცუდი სამსახურია:  
ერთსაც და მეორესაც  
მხოლოდ სისხლი სწყურია.



გ. ლომთათიძე



# ლევ. ასათიანის წიგნი „შავი ქვის ამბავი“



ახლახან ჩვენს საბავშვო წიგნის ბაზარს კიდევ მიემატა ერთი საინტერესო საბავშვო წიგნი: „შავი ქვის ამბავი“.

ჩვენი საბავშვო ლიტერატურა თავისი შინაარსით მდიდრდება, რადგანაც ამის მასალას იძლევა შინაარსით მდიდარი ჩვენი ცხოვრება.

რით არის საინტერესო ლევ. ასათიანის „შავი ქვის ამბავი“?

ეს წიგნი პირველია ჩვენს საბავშვო ლიტერატურაში, რომელიც იძლევა ჩვენს წარმოებას და მის ისტორიულ განვითარებას. ამიტომ შეგვიძლია ეს წიგნი შევადაროთ თავისი შინაგანი შენებით პალეოანთროპოლოგის ცნობილ წიგნს: „კარა ბუგაზ“, რომელსაც ჩვენი ბავშვები მალე წაიკითხავენ.

მართალია, ჩვენს ბავშვებსა და ახალგაზრდებს წაუკითხავსთ სხვა წიგნები ქიათურაზე, მის სამრეწველო მნიშვნელობაზე, მაგრამ ვინ იყო მისი ფუძემდებელი, როგორ განვითარდა ქიათურა, როგორი იყო თავდაპირველად მუშათა ცხოვრება, მათი რევოლუციური მოძრაობა, — ეს დაწვრილებით არ ვიცით. ქიათურის წარსულსა და მომავალზე კიდევ ბევრი რამ დაიწერება მომავალში.

ვინ აღმოაჩინა პირველად შავი ქვა? ჩვენმა ცნობილმა პოეტმა აკაკი წერეთელმა. მას ვიჟად თვლიდნენ, ნათესავები ემღუროდნენ, დასცინოდნენ: „შავი ქვით უნდა ქვეყანა გამდიდროსო“ წაიკითხეთ ვინმე კოსტანტინეს წერილი, რომელიც მისწერა აკაკი წერეთლის მამას როსტომს.

ლევ. ასათიანს ეს ამბავი მეტად მოხდენილად აქვს მოყვანილი ამ წიგნში. მაგრამ აკაკის დიდმა შრომამ ფუჭად არ ჩაიარა. მართალია, გამოჩნდნენ მტაცებლები: თავადი, აზნაური, ვაჭარი, რომელნიც ერთმანეთს ხოცავდნენ, ჩხუბობდნენ, ყიდულობდნენ, ყიდდნენ, და ეს გამდიდრების მოსურვე ხალხი ჩაგრადა, ატყუებდა მუშებს, ბეურმეებს, ჩაღვადრებს წონაშიაც, ფულშიაც,

მაგრამ მუშები დიდხანს ხომ ვერ შეურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას და აწყობდნენ აჯანყებებს, გაფიცვებს. ამ წიგნში საუცხოოდ არის ნაამბობი მუშების გაფიცვებზე, ორი ჯაშუშის მოკვლაზე და ერთერთ ბოლშევიკ მაქროს უდროოდ დაღუპვაზე.

მაგრამ ქიათურის ცხოვრება შეიცვალა, გარდატეხა მოხდა 1928 წლიდან, როდესაც საბჭოთა მთავრობამ და ქიათურის მუშებმა მენშევიკების მიერ დანგრეული ქიათურის აღდგენაზე დაიწყეს მუშაობა.

ლევ. ასათიანი აქედან იწყებს მთელი მუშაობის პროცესების აღწერას, რომლითაც ხასიათდება ქიათურის წარმოება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის მეორე ნაწილი მეტად აღწერითი ხასიათისაა. თუ პირველი ნაწილი გაცოცხლებულია მუშათა რევოლუციური ეპიზოდებით, მეორე ნაწილში სრულიად არ გვაჩვენა ქიათურის მუშები, რომელნიც თავისი გამირული თავდადებით ქმნიან დიდ წარმოებას. მარტო მანქანები, მუშაობის პროცესი უადამიანებოდ ვერ წარმოგვიღვენია საერთოდ და კერძოდ კი საბავშვო წიგნში. მაგრამ რადგანაც ლევ. ასათიანი პირველად წერს ბავშვებისათვის, მას ეპატიება ეს ნაკლი და შემდეგ წიგნებში კი უნდა გამოასწოროს.

ჩვენ ბავშვებს წარმოებასთან ერთად უნდა ეუჩვენოთ მოძრავი ახალი ადამიანები, რომელნიც მოქმედებენ, განცდებით სავსენი არიან, თავიანთ გულში ატარებენ თავიანთი წარმოების დიდ სიყვარულს. აი, მაშინ არის საბავშვო წიგნიც ბავშვებისათვის საინტერესო.

ლევ. ასათიანის წიგნი საინტერესოდ არის გაკეთებული, და ჩვენი მკითხველები დიდ სიამოვნებასა და ცოდნას მიიღებენ ერთერთი ჩვენი სამრეწველო ქალაქის შესახებ, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სამაგალითო და სანიმუშო იქნება.



წიგნი დასურათებულია და ქვაზე გადაღებულია ცნობილი მხატვარის თამარა აბაკელიას მიერ.

დღემდის, თუ ახსოვთ ჩვენს ბავშვებს, იშვიათი იყო ჩვენი მხატვრების მიერ დასურათებული წიგნები. მეტი ნაწილი წიგნებისა გამოდიოდა ფოტოგრაფიული სურათებით, ისიც მეტად ცუდად. ამ უკანასკნელ წლებში საბავშვო წიგნებზე მუშაობენ ჩვენი ცნობილი მხატვრები, რომელნიც ცდილობენ მკითხველების მხატვრული გემოვნების განვითარებას.

რით არის საინტერესო თამარ აბაკელიას სურათები? თავისი ხაზებით, სახეებით, სიძლიერით.

## როგორ მჯაღდება ჟურნალი „პიონერი“

დიდი ყურადღებით ვამზადებთ ჩვენი ჟურნალის „პიონერის“ თითოეულ ნომერს. რედაქცია, როცა ჟურნალში გასაშვებ მასალებს მაგროვებს, შემდეგ მთელი მასალა სკოლებთან არსებულ მკითხველთა ლიტერატურულ-წრეებში იკითხება. პიონერები წრეში კითხულობენ ჟურნალის მასალებს, წერენ ოქმს, აფასებენ მათ.

წინამდებარე ჟურნალიც მკითხველთა სალიტერატურო წრეში იყო განხილული. ლექსი „უსინათლო ბებია“ მათ მოეწონათ, მაგრამ ასეთი შენიშვნა გააკეთეს: ლექსში ერთი ადგილი ბუნდოვანია, მაგალითად:

„იყო ოჯახში მამაც და დედაც,  
უკაცო სახლის გამრჯე მომღვლელი  
და აწუხებდა ყველაზე მეტად  
ბედი ბავშვების, ბედი ობლების.“

ნორჩმა მკითხველებმა ასე დასკვნეს: „ამ სტრიქონებში ავტორს ნაგულისხმები აქვს, რომ ბებია დედისა და მამის მაგიერობას უწევდა შვილიშვილებს, მაგრამ ზოგმა შეიძლება ისე გაიგოს, თითქოს ოჯახში დედმამა იყო, მაგრამ ბავშვები მაინც ობლები იყვნენ“, — ეს სწორი შენიშვნაა. ამ შემომოყვანილი სტრიქონებიდან თქვენც ასეთ დასკვნამდის მიხვალთ. ავტორმა ლექსის ეს ნაწილი გაასწორა.

მათ ძალიან მოეწონათ ლექსი „სოფელში“.

რით, ჩვენ წინ მთელი რიგი აღაშინებლის სახეობა სხვადასხვა მოძრაობაში, ყველას თავისებური გამომეტყველება და მოძრაობა აქვს. თამარ აბაკელიას თავისი სახე აქვს მხატვრობაში. მისი ფერები მუქია, ამ წიგნშიც მთლად თავისი სახით არის წარმოდგენილი და წიგნის შინაარსთან ისეა შეხამებული, რომ ერთი მთლიანი სახეა დაკული.

წიგნს თანდართული აქვს სია იმ წიგნებისა, რომელნიც ჩვენმა ბავშვებმა და ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს ამ მოკლე დროში ჩვენი სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორიდან.

ანდანი

კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გ. კაჭხიძის ლექსმა: „კარგი მოსავალი“.

წრემ მოიწონა ლექსი „შემოდგომა ფლორიდაში“, მაგრამ შენიშვნეს ზოგიერთი არამხატვრული გამოთქმები, როგორცაა „მწიფე სილამაზე“ და სხვა.

მოთხრობებიდან ერთხმად იქნა მოწონებული ცქციტის „დედას ღიმილი“ და ელ. პოლუმორდვინოვის „ჯილდა“.

წრეში წაკითხული იყო შ. სამადაშვილის ლექსი „წავიდა, გაქრა და გაიფანტა“. მათ ამ ლექსზე ასე დაასკვნეს: „ლექსი ეხება ომს, შემდეგ დღევანდელ მშენებლობას, მაგრამ ლექსი სრულიად ვერ იძლევა იმის სურათს, რაც მას სურს“.

შენიშვნა სწორია.

ლექსი რედაქციას არ გაუშვია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა გ. ლომიათიძის არაკმაც.

დანარჩენი მასალებიც ასე იყო განხილული.

მერე ჟურნალი სტამბაში გავგზავნეთ. იქ პოლიგრაფ სკოლის მოწაფეებმა ააწყეს და აიეს ჟურნალი გამოვიდა.

ასე კეთდება ჩვენი ჟურნალის ყველა ნამერი. თქვენც შეგიძლიათ მოიწეროთ რედაქციაში თქვენი შთაბეჭდილება ჟურნალების შესახებ, რომ გზადაგზა ჩვენი ჟურნალის ხარისხი უფრო გაიზარდოს და გაუმჯობესდეს.





**მონახეთ მეორე ხელი**

პიონერებს თავი მოეყარათ და სურათს დასჩერებოდენ. სურათზე ექვსი ხელი იყო გამოხატული და ქვეშ ეწერა: „აქ დახატულ ექვს ხელში ორი ხელი ერთერთი საბავშვო მწერლისაა. მისი ერთი ხელი № 5-თ არის გამოხატული. რომელია მისი მეორე ხელი“;

ვინც გამოიცნობს, პასუხი მოსწეროს ჩვენი ჟურნალის რედაქციას — პასუხსა და გამომცნობის გვარს ჩვენს ჟურნალში დავბეჭდავთ.

პ/მგ. რედაქტორი: **ა. კახვიაშვილი.**  
 პ/მგ. მდივანი: **ლავრა ჭიჭინაძე.**

საქართველოს სახელგანთავსი პოლიგრაფიკული, ა. შიგითლის ქ. ვ/ა.